საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 003995

„ 4 “ თებერვალი 2026 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საჩვენებო დაწესებულება - გარემოს დაცვის ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
1. თბილისი, 3. წულუკიძის I ჯს №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდროს“ (ს/ნ 404591394)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,

[redacted]

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 27 ივნისის №163/ნ ბრძანებით გარემოს დაცვის გადასახადებს

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №003995 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: ობიექტი №003995 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 10 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის [illegible] პირველი ნაწილის და 79⁹ მუხლის შესაბამისად

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის [illegible] მთავარი - მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი ნანა [illegible]

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. [illegible]

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible]

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2026 წლის 4 თებერვლის №003995 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის №DES42400000251 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ის (ს/კ 404591394) კუთვნილი, მდ. ბახვისწყალზე, 10,9 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე **„ბახვი 1 ჰესის" და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე,** სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 27 ივნისის №163/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. **სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 27 ივნისის №163/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის შესაბამისად,** შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI" საქმიანობას არ ახორციელებდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის გზშ ანგარიშსა და დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაციის, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. კერძოდ:

1.1 ინსპექტირებით დადგინდა, რომ ჰესის ძალური კვანძის შენობისათვის სამშენებლოდ მომზადებული ტერიტორია, სადაც განხორციელებულია სამშენებლო-მოსამზადებელი (მიწის) სამუშაოები, 358მ² ფართობი სცდება ჰესის ბაქნის და შენობის პროექტით გათვალისწინებულ ტერიტორიას, რაც დადასტურდა შემოწმების პროცესში აღებული GPS კოორდინატების გზშ ანგარიშზე თანდართული, ჰესის ობიექტების shp ფაილების მონაცემებთან გადადარებით. ასევე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 6 აგვისტოს №172626 წერილით, გადაცდენილ ფართობზე (ნაკვეთზე) საკუთრების უფლება არ არის რეგისტრირებული. ამასთან, აღნიშნული მიწის ნაკვეთი არ არის გათვალისწინებული მშენებლობის ნებართვის შეთანხმებისა და გაცემის შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 30 ნოემბრის ბრძანებით. ასევე დადგინდა, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთს არ მოიცავს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2023 წლის 3 თებერვლის №127/ს ბრძანება, რომლის საფუძველზეც სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, გურიის სატყეო სამსახურის, ოზურგეთის სატყეო უბნის 12 2921 კვ.მ. მიწის ფართობზე მინიჭებულია განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება;

2026 წლის 4 თებერვლის №003995 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

1.2 კომპანია არ ახორციელებდა მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების მართვას, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად. დადგინდა, რომ ფუჭი ქანების განთავსებისთვის არ იყო მოწყობილი გზშ ანგარიშით განსაზღვრული სანაყარო. ინსპექტირების პროცესში, გზის პირას, რამდენიმე ლოკაციაზე დაფიქსირდა გზის გაყვანის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების (ლოდები) დასაწყობების ფაქტი. ორ ლოკაციაზე დაფიქსირდა ფუჭი ქანების (დიდი ზომის ლოდების) მდინარე ბახვისწყლის ხევში ჩაყრის ფაქტი. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად ფუჭი ქანების განთავსებისთვის გათვალისწინებული იყო 2 სანაყაროს მოწყობა. შესაბამისად ფუჭი ქანები, რომელიც არ იქნა გზის გაყვანის პროცესში შემავსებელ მასალად გამოყენებული, უნდა გატანილიყო სპეციალურად მოწყობილ სანაყაროს ტერიტორიაზე;

1.3 კომპანია, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მონიტორინგის გეგმის შესაბამისად მშენებლობის ეტაპზე, არ ახორციელებდა მდ. ბახვისწყლის ბუნებრივი ჩამონადენის მუდმივ მონიტორინგს და მის შედეგებს კვარტალში ერთხელ არ წარადგენდა სამინისტროში. კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დონემზომის მეშვეობით მონიტორინგი ხორციელდებოდა 2024 წლის 17 ივნისიდან 27 ივნისის პერიოდში, ხოლო მონიტორინგის შედეგები კომპანიას წარდგენილი აქვს სააგენტოში მხოლოდ 2024 წლის ივნისში;

2. **სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 27 ივნისის №163/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის შესრულების მიზნით,** შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ სამშენებლო სამუშაოებს არ ახორციელებდა „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, კომპანიამ ჰესის და ქვესადგურის საპროექტო ტერიტორიაზე მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა განახორციელა, სამინისტროსთან შეთანხმებული რეკულტივაციის გეგმა-პროექტის გარეშე;

3. **სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 27 ივნისის №163/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის შესრულების მიზნით,** შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის, მშენებლობის დაწყებამდე არ ქონდა შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმა. დადგინდა, რომ კომპანიას ნარჩენების მართვის გეგმა შემუშავებული და სამინისტროში წარდგენილი აქვს 2023 წლის 11 ივლისის №BK1.Cor.Out-230711-01 წერილით, რომელიც შეთანხმებულია **სამინისტროს 2023 წლის 30 აგვისტოს №6991/01 წერილით,** ხოლო სამშენებლო სამუშაოები დაწყებულია **2023 წლის მაისის თვეში.** ასევე, კომპანია სრულყოფილად არ ასრულებს შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრულ

ღონისძიებებს. კერძოდ, სამშენებლო უბანზე არ ხორციელდებოდა ნარჩენების სეპარირებული შეგროვება;

4. **სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 27 ივნისის №163/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-6 პუნქტის შესრულების მიზნით,** შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ის მიერ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ამოღებული ხე-ტყის მართვა არ ხორციელდებოდა ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმებული წესის მიხედვით. კერძოდ, 2024 წლის 4 ივლისის მდგომარეობით, კომპანიას 2023 წელს განხორციელებული ჭრებით მოპოვებული მერქნული რესურსი სრულად არ ქონდა გატანილი ჭრის ადგილიდან და გადაცემული გურიის სატყეო სამსახურზე, რაც დადასტურდა 2024 წლის 4 ივლისის საველე აქტით და გურიის სატყეო სამსახურის 2024 წლის 8 აგვისტოს GOV N 09/5165 წერილით მოწოდებული მიღება-ჩაბარების აქტებით. ამასთან, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-სთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2023 წლის 3 თებერვლის №127/ს და 2023 წლის 21 ნოემბრის №3072/ს ბრძანებების მე-5 პუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ჭრების შედეგად მოპოვებული რესურსი, ჭრის ადგილიდან გამოტანილი და დასაწყობებული უნდა იყოს სატყეო სამსახურის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე, ფაქტობრივად ჩატარებული ჭრების მიხედვით, ეტაპობრივად, 10 დღის ვადაში;

5. **სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 27 ივნისის №163/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-7 პუნქტის შესრულების მიზნით,** შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ს მშენებლობის პერიოდში, ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტების განლაგების არეალში, **წელიწადში ორჯერ** არ ქონდა ჩატარებული საშიში გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, ასევე არ იყო სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენილი მიღებული შედეგები;

6. **სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 27 ივნისის №163/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის შესრულების მიზნით,** შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ს, პროექტის განსახორციელებლად არ მოუწყვია სამშენებლო ბანაკები და სარგებლობს შპს „ბახვი 2"-ის მიერ მოწყობილი სამშენებლო ბანაკითა და სხვა ინფრასტუქტურით. ამასთან, საპროექტო სამუშაოების დაწყებამდე, კომპანიას აღნიშნულთან დაკავშირებით, ინფორმაცია სააგენტოში არ წარუდგენია;

7. **სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 27 ივნისის №163/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-13 პუნქტის შესრულების მიზნით,** შპს „სი-

სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ს, მონიტორინგის ფარგლებში, დამატებითი წინასამშენებლო კვლევა წყლის ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით, ჩატარებული და სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენილი აქვს **მშენებლობის დაწყების შემდეგ;**

8. **სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 27 ივნისის №163/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-14 პუნქტის შესრულების მიზნით,** შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI" მონიტორინგს არ ახორციელებდა მონიტორინგის გეგმის (ცხრილი 2. მშენებლობის ეტაპზე) შესაბამისად. კერძოდ:

8.1 სააგენტოში არ ქონდა წარდგენილი ატმოსფერულ ჰაერში არაორგანიზებული მტვერის და ხმაურის გავრცელების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, მანქანა-დანადგარების ტექნიკურ გამართულობაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგები;

8.2 კომპანია კვარტალში ერთხელ არ ახორციელებდა მტვრის კონცენტრაციის და ხმაურის ინსტრუმენტალური გაზომვებს. შესაბამისად, ინფორმაცია არ აქვს წარდგენილი სააგენტოში;

8.3 სააგენტოში არ ქონდა წარდგენილი მეწყრულ პროცესებზე, ქვათაცვენითი პროცესების გააქტიურებაზე, ღვარცოფულ მოვლენებზე და მდინარისმიერი ეროზიის, ნაპირების სტაბილურობაზე განხორციელებული მონიტორინგის ანგარიში;

8.4 დონემზომის გამოყენებით, არ ხორციელდებოდა მდ. ბახვისწყლის ბუნებრივი ჩამონადენის უწყვეტი მონიტორინგი და შესაბამისად, კვარტალში ერთხელ არ იყო წარდგენილი ინფორმაცია სააგენტოში. დონემზომის მეშვეობით მონიტორინგი ხორციელდებოდა 2024 წლის 17 ივნისიდან 27 ივნისის პერიოდში, ხოლო მონიტორინგის შედეგები კომპანიას წარდგენილი ქონდა სააგენტოში ერთჯერადად - 2024 წლის ივნისში;

8.5 კომპანია, წელიწადში ორჯერ, არ ახორციელებდა ჰესის ნაგებობების საპროექტო დერეფნებში, მათ მიმდებარე ტერიტორიებზე ჰაბიტატების და მცენარეთა სახეობების მონიტორინგს, სოროებისა და ბუდეების აღრიცხვას. ასევე არ იყო წარდგენილი ანგარიშგება სააგენტოში;

8.6 კომპანია, წელიწადში ორჯერ, არ ახორციელებდა მდ. ბახვისწყალის საპროექტო მონაკვეთში და მის ზედა და ქვედა დინებაში, წყლის ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების მიზნით, იქთიოფაუნის და თევზის საკვები ბაზის კვლევას. ასევე არ იყო წარდგენილი ანგარიშგება სააგენტოში. დადგინდა, რომ მონიტორინგი ჩატარებულია ერთხელ, 2024 წლის ივნისში, ამასთან, ანგარიშგება სააგენტოში არ იყო წარდგენილი;

9. **სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 27 ივნისის №163/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-15 პუნქტის შესრულების მიზნით,** შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ს, ჰესის საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, მდინარე ბახვისწყლის მარცხენა სანაპიროზე ნაპირსამაგრი კედელის (ნაპირსამაგრის) მოწყობასთან დაკავშირებით, **მშენებლობის დაწყებამდე** სააგენტოსთვის არ მიუმართავს;

10. **სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 27 ივნისის №163/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-17 პუნქტის შესრულების მიზნით,** შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ს სამშენებლო სამუშაოების დაწყებისა და ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ, ინფორმაცია სააგენტოში წარდგენილი არ ქონდა.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი ზემოთაღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

11. **განხორციელებული შემოწმების შედეგად გამოვლინდა გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შეუსრულებლობის ფაქტები, მათ შორის, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა. კერძოდ:**

11.1. ინსპექტირებით დადგინდა, რომ კომპანიას, ჰესის საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, მდ. ბახვისწყლის მარცხენა სანაპიროზე, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე მოწყობილი აქვს ნაპირსამაგრი **(შემოწმების პერიოდისთვის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოქმედი რედაქციის შესაბამისად (დანართი II, 9.13 ქვეპუნქტი) ნაპირსამაგრის მოწყობა საჭიროებდა სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებას);**

11.2. ჰესის ძალური კვანძის სამშენებლო ტერიტორია (ჯამში 358მ^2 ფართობი), სადაც მიმდინარეობდა მიწის სამუშაოები (ტერიტორიაზე აღებული GPS კოორდინატების კარტოგრაფიული დამუშავებით), სცდება ჰესის ბაქნის და შენობის პროექტით გათვალისწინებულ ტერიტორიას, რაც დასტურდება, დაკონტურებული ფართობის გზშ ანგარიშზე თანდართულ, ჰესის ობიექტების shp ფაილების მონაცემებთან გადადარებით.

აღნიშნული ქმედება წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას (იმ პერიოდისათვის მოქმედი რედაქცია).

12. შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებდა „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით, **რაც წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 52-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.**

ამასთან, გამოანგარიშდა მიწის დეგრადაციით გარემოსათვის მიყენებული ზიანის ოდენობა, რომელმაც შეადგინა 828,5 ლარი.

შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 22 აგვისტოს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილის, 79^7 მუხლის პირველი ნაწილისა და 52-ე მუხლის შესაბამისად, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №090679 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ, 2024 წლის 22 დეკემბრის №4-215-24 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილის, 79^7 მუხლის პირველი ნაწილით და 52-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებაში, სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 7 000 ლარის ოდენობით. ასევე დააკისრა გარემოსთვის მიყენებული ზიანის 828.50 ლარის ანაზღაურება. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლი შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2026 წლის 4 თებერვლის №003995 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2026 წლის 4 თებერვლის №003995 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის (ს/კ 404591394) კუთვნილი, მდ. ბახვისწყალზე, 10,9 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე „ბახვი 1 ჰესის“ და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 27 ივნისის №163/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ ვალდებულია:**

1. საქმიანობა **მუდმივად** განახორციელოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის გზშ ანგარიშსა და დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაციის, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 27 ივნისის №163/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-3 პუნქტი).** მათ შორის:

1.1. ვინაიდან, დღეს არსებული მდგომარეობით, კომპანიას არ დაუსრულებია სამშენებლო სამუშაოები და შესაძლოა მშენებლობის პროცესში წარმოიქმნას ფუჭი ქანები, **კომპანია ვალდებულია ფუჭი ქანების მართვა და განთავსება** უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემულ ტერიტორიაზე და პარამეტრების შესაბამისად. ამასთან, ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში განსახილველად წარადგინოს** გზის პირას, რამდენიმე ლოკაციაზე დასაწყობებული, გზის გაყვანის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების (ლოდები), ასევე ორ ლოკაციაზე - მდინარე ბახვისწყლის ხევში ჩაყრილი ფუჭი ქანების (დიდი ზომის ლოდები) მართვის/განთავსების შესახებ ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

1.2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **მშენებლობისა და ოპერირების** ეტაპზე, **მუდმივად განახორციელოს** მდ. ბახვისწყლის ბუნებრივი ჩამონადენის მონიტორინგი და **შედეგები კვარტალში ერთხელ** წარადგინოს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოში, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მონიტორინგის გეგმის შესაბამისად;

2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **საქმიანობის განხორციელების პროცესში მუდმივად** უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა, **რისთვისაც ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან**

არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს რეკულტივაციის გეგმა-პროექტის შემუშავება და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან (სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო) შესათანხმებლად წარდგენა, ხოლო შემდგომ საქმიანობა განახორციელოს შეთანხმებული რეკულტივაციის გეგმის შესაბამისად (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 27 ივნისის №163/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-4 პუნქტი);**

3. ადმინისტრაციული **მიწერილობის ჩაბარებიდან, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, ნებისმიერი ქმედება განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამასთან** განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსის მართვა განახორციელოს სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმებით და განსაზღვრული წესით (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 27 ივნისის №163/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-6 პუნქტი);**

4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან, **მშენებლობის პერიოდში,** ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტების განლაგების არეალში, **წელიწადში ორჯერ** განახორციელოს საშიში გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი და მიღებული შედეგები შესათანხმებლად წარადგინოს სააგენტოში (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 27 ივნისის №163/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-7 პუნქტი);**

5. **ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს სამშენებლო ბანაკ(ებ)ის დეტალური პროექტ(ებ)ის შემუშავება და სააგენტოში shp ფაილებთან ერთად შესათანხმებლად წარდგენა. ამასთან, თუ კომპანიას დაგეგმილი აქვს შპს „ბახვი 2"-ს მიერ მოწყობილი სამშენებლო ბანაკითა და სხვა ინფრასტუქტურით სარგებლობა, ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში,** უზრუნველყოს აღნიშნული ინფორმაციის სააგენტოში წარდგენა (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 27 ივნისის №163/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-8 პუნქტი);**

6. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 27 ივნისის №163/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-14 პუნქტის** შესრულების მიზნით, შეთანხმებული მონიტორინგის გეგმის (ცხრილი 2. მშენებლობის ეტაპი) შესაბამისად უზრუნველყოს შემდეგი ვალდებულებების შესრულება:

6.1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს მანქანა-დანადგარების ტექნიკურ გამართულობაზე განხორციელებული

მონიტორინგის შედეგების, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოში წარდგენა, ატმოსფერულ ჰაერში არაორგანიზებული მტვერის და ხმაურის გავრცელების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ **მიწერილობის ჩაბარების მომენტისთვის არ ხდება მანქანა დანადგარების გამოყენება,** კომპანია ვალდებულია **საქმიანობის განახლებამდე უზრუნველყოს** მანქანა-დანადგარების ტექნიკურ გამართულობაზე მონიტორინგის ჩატარება და შედეგების სააგენტოში წარმოდგენა;

6.2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან, საქმიანობის განხორციელების პროცესში, **კვარტალში ერთხელ** უზრუნველყოს მტვრის კონცენტრაციის და ხმაურის ინსტრუმენტული გაზომვების ჩატარება და შედეგების სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენა;

6.3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **მუდმივად** უზრუნველყოს მეწყრულ პროცესებზე, ქვათაცვენითი პროცესების გააქტიურებაზე, ღვარცოფულ მოვლენებზე და მდინარისმიერი ეროზიის, ნაპირების სტაბილურობაზე მონიტორინგი და **ანგარიში/შედეგები წელიწადში ერთხელ** წარადგინოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში;

6.4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **წელიწადში ორჯერ** განახორციელოს, ჰესის ნაგებობების საპროექტო დერეფნებში, მათ მიმდებარე ტერიტორიებზე ჰაბიტატების და მცენარეთა სახეობების მონიტორინგი, სოროებისა და ბუდეების აღრიცხვა და **ანგარიში/შედეგები წელიწადში ორჯერ** წარადგინოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში;

6.5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **წელიწადში ორჯერ** განახორციელოს, იქთიოფაუნის და თევზის საკვები ბაზის კვლევა, მდ. ბახვისწყალის საპროექტო მონაკვეთში და მის ზედა და ქვედა დინებაში, წყლის ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების მიზნით და **ანგარიში/შედეგები წელიწადში ორჯერ წარადგინოს** სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში;

7. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ჰესის საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, მდინარე ბახვისწყლის მარცხენა სანაპიროზე მოწყობილი ნაპირსამაგრი კედელის შესახებ ინფორმაციისა და ტექნიკური დოკუმენტაციის (shape ფაილებთან) სააგენტოში წარდგენა (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 27 ივნისის №163/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-15 პუნქტი);**

8. ჰესის ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ ინფორმაცია **დაუყონებლივ** წარადგინოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 27 ივნისის №163/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-17 პუნქტი);**

9. ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან უზრუნველყოს** სამშენებლო უბანზე ნარჩენების (მათ შორის სახიფათო ნარჩენების) მართვა, ნარჩენების მართვის კოდექსის და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ვალდებულებების და მოთხოვნების, ასევე სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 3 ნოემბრის №21/10919 წერილით შეთანხმებული, 2025-2027 წლების ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;

10. ვინაიდან, ინსპექტირებით დადგინდა, რომ საქმიანობის განხორციელების **ადგილზე არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება გზშ ანგარიშში ასახულ გარემოებებს (იხ. №003995 ადმინისტრაციული მიწერილობის №1 დანართის მე-11 პუნქტი), შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ ვალდებულია** ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული პროცედურის გავლის მიზნით.